# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 40 დამატების № 6

კვირა, 22 მარტი 1915 წ.


სამშობლო — დედის ძუძუი, არ გაიცვლის სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძვირილი, შვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, მშობლიც ერთია ქვეყანაზედა.



# ქრისტე აღსდგა!



**მარო მდივანის ასული.**

ახალი როლის შესრულების გამო „დაძირულ ზარში“ 25 მარტს.

# ნაზარეველი.

—:—

გაბრწყინვებული მოვიდა, ვით მზე,
მის ახლოს სევდა იკარგებოდა,
მაგრამ თვით იმის მაღალსა შუბლზე
სევდის ბეჭედი იქარგებოდა ..
თვალები მისი ცას შესცქეროდა,
ბრწყინავდა იგი, ვითარცა ელვა,
მსოფლიოს მაჯის-ცემას ერთოდა
მგზნებარე გულის ტოკვა და ღელვა! .

*
* *

სიკვდილს სთრგუნავდა ღვთაების შვილი,
მაშვრალთ სვე-ბედზე ფიქრი სტანჯავდა,—
და უშიშრათა,—ნათლით მოსილი,—
საკაცობრიო ჰიმნებსა სთხზავდა!...
ის თვით განგებამ ტანჯულს, უბედურს,
გამოუგზავნა თავ-შესაფარად,
დაინახავდა რა მტრობას და შურს,
ცრემლი სდიოდა თვალთაგან ღვარად!..

*
* *

დაჰგმო მან ქვეყნის საკეთილდღეოთ
პირადი შვება და სიხარული...
ხალხს მოუწოდა... და იქადაგა:
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“!..
მაგრამ ვერ იცნო სოფელმან ბრმამა,
თავისებური მორთო კიჟინი,
და მას, ვინც მხსნელათ აჩუქა ცამა,
თავსა დაადგა ეკლის გვირგვინი..

მ. ელზაშვილი.



**ალ. ყალაბეგიშვილი.**

ახალი როლის შესრულების გამო „უჩადებში“ 26 მარტს.

# მაშინ მითხარ!...

„ქრისტე აღსდგა!“ მეუბნევი, „ჭეშმარიტად“-ს ჩემგან ელი,—
ნუ, ნუ მიწყენ, თუ არ გითხრა, სატრფოვ, სიტყვა სასურველი!
რისთვის? რათა? ნუღარ მკითხავ, თორემ, გფიცავ აცრემლდები.
ჩემებრ დაგწვავს დარდის ცეცხლი, სევდის მონა შეიქნები.

ოდეს, სულო, ამ ქვეყანად ტანჯულთ კერა იგრძნობს შვებას,
როს—მაშვრალი, უსახლ-კარო, შესწყვეტს სისხლის ცრემლით დინებას,
როს—ქართველი ქართველს იცნობს, მამა შვილს და ძმა—თვის ძმასა,
როს—ცის მნათობთ სიმთა ჟღერა შესცვლის მოთქმა, გლოვის ხმასა,

როს—შემზარავ ღამის ბინდ-ბუნდს გაჰკვეთს ცისკრის ცეცხლის ალი,
როს—ყოველ არსს იმედს მოჰგვრის ქართველების მომავალი,
როს—ცის ნამი სამშობლოს მთებს დაეფრქვევა მარგალიტად,
მაშინ მითხარ: „ქრისტე აღსდგა!“ და მეც გეტყვი: „ჭეშმარიტად!“.

**მ. ანაშვილი.**



**ვ. ბარველი.**

ქუთ. დრ. დასის ამხანაგობაში მოწვევის გამო.



ვიკტორ დავითის-ძე იობიძე.
(ჯარისკაცი)
მოკლულია ოსმალეთის საზღვარზე 26 დეკემბ.



ნ. ბ. გუგუნავა.
(პოდპორუჩიკი.)
დაჭრილია ბორჟიმოვოსთან მდ. ბზურაზე 23 თებერვალს.



პროკოფი მიხეილისძე ლორთქიფანიძე. (ჯარისკაცი).
დაჭრილია ავსტრიელებთან ბრძოლაში. წევს მოსკოვის საავათმყოფოში.



გიორგი დავითის ძე გრიგოლია.
ავსტრიის საზღვარზე უგზო უკვლოთ დაიკარგა.



ილია საულის ძე კახიანი.
მოკლულია 13 თებერვალს გერმანელებთან ბრძოლაში.

# მადლიანი ჯიბე.

(სააღდგომო სურათი.)

18... წლის დიდი შაბათის ღამე იშვიათი ღამეთაგანი იყო. ცის გუმბათი ისე გადაწმენდილიყო, რომ ღრუბლის ერთს პატარა ნაჭერსაც კი ვერ მოჰკრავდით თვალს. მოწმენდილ-მოკრიალებული ლაჟვარდი ცა მოფენილიყო უთვალავი ვარსკვლავებით, კაშკაშა მთვარე ბრწყინვალეთ იღიმებოდა და ვერცხლებრივ სინათლეში ახვევდა ძირს დედამიწას, ქვეყანას და სოფელს—№... რომლის ეკლესიის გუმბათიც მედიდურად აღმართულიყო და მთვარის შუქზე საამოდ ელვარებდა. თვით ეკლესიის ზარსაც კი შეეცვალა ერთგვარი ხმა და მკაფიოდ ზრიალებდა.

პატარა, თეთრი ეკლესიის გალავანი ხალხით იყო სავსე. ანთებულის კელაპტრებისაგან ღაღადი გაჰქონდა არე-მარეს. ზარების ხმას, რომელიც მოისმოდა აქ-თ-იქით მახლობელი სოფლებიდან, უერთდებოდა ლიტონიის შემოვლაზე მღვდლისა და ხალხის „ქრისტე აღსდგა“-ს ერთხმივ გალობა ისეთი ბრწყინვალე, რომ, გეგონებოდათ, ჰაერში ანგოლეზები ბანს აძლევენ, იმეორებენო. აი, უკანასკნელად შემოუარეს ეკლესიას გარშემო, პატარა ეკლესია მლოცველთ ვეღარ იტევდა, მომეტებული ნაწილი ხალხისა გალავანში იდგა და სიამოვნებით ადევნებდა თვალს გალავანში უზარ-მაზარი კუნძებისაგან ანთებულ ცეცხლის გუგუნს და ნაპერწკლების კოწიაწს. ცეცხლს გარს ეხვივნენ დიდი და პატარა და, მიუხედავად მთელი ღამის უძილობისა, აღტაცებული ჟრიამული და სიცილ-ხარხარი გაჰქონდათ. ამას მიუმატეთ მამა გრიგოლის ტკბილი, სასოების აღმძვრელი ხმა, იმისი მადლიანი სახე.

გაიღო აღსავლის კარები.

— „ქრისტე აღსდგა!“--შესძახა მღვდელმა.-- ჭეშმარიტად‘‘ —იგრიალა ხალხმა. ლოცვით გატაცებულთ, დიდსა და პატარას, დავიწყებოდა ურთიერთ შორის მტრობა, სიძულვილი, შური და ყველა გამსჭვალულიყო ქრისტეს მცნებით.

ამ საერთო ფერხულს მხოლოდ ერთი მოხუცი, წელში მოხრილი ნენე განდგომოდა. იგი ვერა ხედავდა რა ხდებოდა მის გარშემო და სულ სხვა ფიქრებს გაეტაცნა. იგი მიმქრალ თვალებს უგზო-უკვლოდ აცეცებდა, თითქოს ვიღაცას დაეძებსო და თან გაიძახოდა: ,,ქრისტეს აღდეგის მადლო და ძალო, მოგვხედე, გვანუგეშე; ჰფარვიდე უნუგეშო და უპატრონოთ დარჩენილს ჩემს ობლებს, პატარა შვილი-შვილებს! დედაო ღვთისაო, შაკმარე! ნუღარ შემასწრებ ნურაფერ უბედურებას!



ოსმალების ქალაქი ტრაპეზონი, (შავი ზღვის პირათ) რომლის აღებასაც რუსის ჯარი ცდილობს.

ნენე გადახედავდა ხოლმე გალავანში გაშლილ ტაბლებს, პასკებს, რომლის პატრონებიც მღვდლის გამოსვლას უცდიდნენ, რომ ეკურთხებინებინათ და გული ეტანჯებოდა, რომ ყველა მიცვალებულს ჰყავდა პატრონი, უსრულებდნენ ქრისტიანულ წესს და ომში მოკლული მისი შვილი და ახლად გადაცვალებული რძალი კი უპატრონოთ განისვენებენ საფლავში. უფროსი შვილიშვილი ლექსო, რომელსაც შეეძლო მათთვის საკურთხის მომზადება, ხელმომტვრეული ლოგინში გდია აგერ ორი კვირაა.

მოახლოვდა დიდებული დღესასწაული და საბრალო ნენეს პასკა და წითელი კვერცხიც-კი არ გააჩნდა. ბავშები კი თავისას თხოულობდნენ; აქეთ კიდევ გმინვა და კვნესა ლოგინში მდებარე მათის მარჩენალის ლექსოსი, რომლისთვისაც არც ექიმი, არც წამალი და არც საჭმელი არსად იყო—ყოველივე ამას საწყალი მოხუცებული ნენე სასოწარკვეთილებამდი მიჰყავდა და გამწარებული ამბობდა:—ვაი ამ სიბერეს და ვაი ამ ცხოვრებას! სული საეშმაკოდ როგორ გავიხადო, თორემ რაღა სასიცოცხლო ვარ!?..“

გამოვიდა წირვა. მღვდელმა და დიაკვანმა აკურთხეს ტაბლები; თავისი წილით აივსეს ხურჯინები და დანარჩენი ზოგი პატრონებმა და ზოგიც გლახებმა დაირიგეს.

ნენე ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როდესაც ნაკურთხი ტაბლები გაინაწილა ყველამ. ნენე აჩქარებით წადგა წინ და ელოდა, რომ ვინმე რასმე მისცემდა, მაგრამ ხმა არავინ გასცა და ნერწყვგამშრალი წაბარბაცდა და თავის ჯოხზე თავი ძლივს შეიმაგრა. კარგა ხანი იყო ასე გარინდებული და, როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, რ~მ შემოსხდომოდნენ გლახაკები ტაბლებს და გემრიელათ შეექცეოდნენ, ნენეს თვალთაგან ცრემლები გადმოცვივდა და წასვლა დააპირა.

— ჰა, ბებრუხანა, შენ სადღა მიდიხარ? რაო, რაგინდა? შესძახა ერთმა. არა გრცხვენიან მაგდროული ადამიანი დაწანწალობ! შინ არა გაბადია რა, რო აქ მოსულხარ,—მშიერი მუცელი ამოიყორო?!—იქ მჯდომთ გულიანათ გადაიხარხარეს.

— თვითონ შე უსინიდისო, ჩემდროთ არ მოგყაროს დღევანდელი დღის მადლმა! შენ ხომ არას გაწუხებ! ან იცი კი რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში?—უპასუხა ბრაზმორეულმა ნენემ, რის ვაი ვაგლახით საფლავის ქვაზე დაჯდა და დაიწყო მწარეთ ქვითინი.

იქვე ახლოს, შავებში ჩაცმული მანდილოსანი იდგა და თვალს ადევნებდა ნენეს განწირულ სულის კვეთებას.

მანდილოსანს გული სიბრალულით აევსო და, როცა ეკლესიიდან ყველანი წავიდნენ, იგი მივიდა ნენესთან, ამოალაგა კალათიდან სხვადასხვა სანოვაგე და ნენეს გადასცა. ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ ნენეს გული სიხარულით აუვსო. ქველმოქმედმა სანოვაგეს აღარ დააჯერა ნენე და თან გადასცა რამდენიმეადლი მიტკალი, ჩითი, შალი და ათი მანეთიც ფული. ნენე მეტის ბედნიერებისაგან ისე დაიბნა, რომ მადლობაც-კი ვერ მოახერხა, ისმოდა მხოლოდ მისი ბუტბუტი: ,,ღმერთმა გიხსნას, შვილო, ყოველი გაჭირვებისაგან ჩემის გაკითხვისა და შებრალებისთვის. მე ერთი უმწეო, უძლური მოხუცებული ვარ, რა შემიძლიან, რითი გადაგიხდი. მაგრამ, შვილო, სამთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს.

როდესაც უცნობმა ქალმა დაასრულა თავისი უხვი მოწყალება — უთხრა:

— მოხუცო, ი[illegible]ოცე ჩემთვის და ჩემი მშობლებისთვისაო“—და გაშორ[illegible]და.

ნენემ დღე[illegible]აც არ იცის, ვინ იყო ეს მადლიანი ქალი, მაგრამ დარწმ[illegible]და კი, რომ ბოროტებთან ერთად, ბევრი კეთილიც ყოფილა ამ ქვეყნად

მარიამ წინამძღვრიშვილისა.



რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.